ხელშეკრულება

ქ. თბილისი 03 დეკემბერი 2010 წ.

ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ №88–ე საჯარო სკოლის სახით, (შემდგომში წოდებული, როგორც „შემსყიდველი") დირექტორი მაია მღდელაძე და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „სააგენტო სერვის ცენტრი ტ.გ.მ." (შემდგომში წოდებული როგორც „მიმწოდებელი") დირექტორის ტრისტან ჟორჟოლიანის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I ხელშეკრულების ობიექტი

ქ. თბილისი, წურწუმიას №16 №88 -ე საჯარო სკოლის მიერ დაკავებული შენობის ცენტრალურ შესასვლელში შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლეებისათვის ინვალიდთა ეტლის გადასადგილებელი ე.წ. პანდუსის მოსაწყობი ესკიზური ნახაზის მომზადება.

II შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 200,0 (ორასი) ლარს 00 თეთრი დ.ღ.გ-ს ჩათვლით

III შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. შესასრულებელი სამუშაოს ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებს და დამკვეთის მოთხოვნებს.

IV შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში.

4.2. მიწოდების ადგილია ქ. თბილისი.

V შესყიდვის ობიექტის მიღება –ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

VI ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

6.2. შესრულებული სამუშაო ანაზღაურება შემდეგნაირად:
შესასრულებული სამუშაოს ღირებულების 50% (ან მთლიანი) დაიფარება სამუშაოების დაწყებამდის, დანარჩენი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 საბანკო დღის ვადაში.

6.3. ანაზღაურების ადგილი – ქ. თბილისი.

VII მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

შემსყიდველი ვალდებულია:

– ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
– წერილობითი ფორმით დაუყონებლივ აცნობოს რაიმე წუნის აღმოჩენის შესახებ.

7.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

– განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
– საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობები;
– დააკმაყოფილოს შემსყიდველის თხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;

7.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

– მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

VIII ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის ინსპექტირება.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

8.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

IX მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულებების პირობების დარღვევისას

9.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებულ თავის ვალდებულებებს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულებების პირობები.

9.2. ვალდებულებების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

X ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებათა სრულიად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულებების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

10.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს

XI ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

XII ხელსეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2010 წლის 27 ნოემბრის ჩათვლით.

XIII დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

XIV სხვა პირობები

14.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება დგება ორი იურიდიული თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. სამუშაოების შესრულებაში მონაწილე საიჟინრო-ტექნიკური პერსონალისა და მუშა მოსამსახურეების შემადგენლობის არანაკლები 70% უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები.

14.6. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება დაუშვებელია.

XV მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები
მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

შემსყიდველი	მიმწოდებელი
№ 88 -ე საჯარო სკოლა	შ.პ.ს. „სააგენტო სერვის ცენტრი ტ.გ.მ.
ქ. თბილისი, წურწუმიას ქ. №16	მის. ქ. თბილისი შირაქის ქ.№11
ს/კ 206031701	ს/კ 206030418
ბაზის ბანკი	ს.ს. „საქართველოს ბანკი" ცენტ. ფილ.
ბანკის კოდი 220101701	ა/ა 400467108
ა/ა 134255	ბანკის კოდი 220101502
დირექტორი: მ. მდდელაძე	დირექტორი: ტ. ჟორჟოლიანი